

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No. 1907/2006 რეგულაციის დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ეყრდნობა ნივთიერებებისა და ნარევის კლასიფიკაციისა და ეტიკეტების შესახებ გაერთიანებული ერების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (UN GHS) სტანდარტებით გათვალისწინებულ სტრუქტურას და შეიცავს კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისოდ აღიარებული წესების შესაბამისად. არსებული ზემოქმედების ზღვრები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ყველა ქვეყნის მარეგულირებელ სტანდარტებს.

### პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

#### 1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)  
ტიპები : Cu 39,75 w/w %  
სინონიმები : B10236531  
DPX-KK807 WP

#### 1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ნივთიერების/ ნარევის გამოყენება : ფუნგიციდი

#### 1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანია : დიუპონ ინტერნეიშენალ ოპერეიშენ ს.ა.რ.ლ.  
DuPont International Operations S.a.r.l.  
2, chemin du Pavillon  
CH-1218 Le Grand-Saconnex / GE  
შვეიცარია  
ტელეფონი : +41 (0) 22 717 51 11  
ტელეფაქსი : +41 (0) 22 717 51 09  
მომწოდებელი : Du Pont de Nemours (France) S.A.S. "დიუპონ დე ნემური (საფრანგეთი) ს.ა.ს. "  
82, rue de Wittelsheim  
F-68701 Cernay Cedex  
ტელეფონი : +33 (0) 3 89 38 38 38  
ელ-ფოსტა : sds-support@che.dupont.com

#### 1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

+(44)-870-8200418 (CHEMTREC)

ტოქსიკოლოგიური ცენტრები შეიძლება ფლობდეს მხოლოდ პროდუქტების შესახებ (EC) 121272/2008 რეგულაციისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას.

### პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

#### 2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

თვალის გაღიზიანება, კატეგორია 2 H319: იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.  
კანის სენსიბილიზაცია, კატეგორია 1 H317: შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No. 1907/2006 რეგულაციის დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

რეპროდუქციული ტოქსიკურობა,  
კატეგორია 2

H 361fd: საეჭვოა ნაყოფიერების დაზიანება. საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი.

მოკლევადიანი (მწვავე) ტოქსიკურობა წყლის  
ორგანიზმებისთვის, კატეგორია 1

H400: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

გრძელვადიანი (ქრონიკული)  
ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისთვის,  
კატეგორია 1

H410: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

### 2.2 ეტიკეტის ელემენტები



#### გაფრთხილება

H317:  
H319:  
H 361fd:

შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.  
იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.  
H 361fd: საეჭვოა ნაყოფიერების დაზიანება. საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი.

H410:

ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

ზოგიერთი ნივთიერების ან ნარევის  
სპეციალური მარკირება

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

P201  
P261  
P280

გამოყენებამდე მიიღეთ სპეციალური ინსტრუქციები.  
არ შეისუნთქოთ მტვერი/კვამლი/აირი/ორთქლი/შხეფები.  
გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი/ დამცავი სპეცტანსაცმელი / თვალების დამცავი/ სახის დამცავი საშუალებები.

P308 + P313  
P333 + P313

ზემოქმედების ან შეხების შემთხვევაში: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/ დახმარება.  
თუ კანის გაღიზიანება ან გამონაყარი შეინიშნება: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/ დახმარება.

P391  
P501

შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.  
შიგთავსის/ტარის უტილიზაცია უნდა მოხდეს ნებადართულ ობიექტზე ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.

SP 1

არ დააბინძუროთ წყლები პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).

### 2.3. სხვა რისკები

ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებას, რომელიც განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT).  
ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებას, რომელიც განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

### პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

#### 3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.

#### 3.2. ნარევი

რეგისტრაციის ნომერი	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) No. 1272/2008 (CLP) შესაბამისად	კონცენტრაცია (% w/w)
---------------------	--	----------------------

#### სპილენძის ქლორჟანგი (CAS-No.1332-40-7)

(M-კოფიციენტი : 1[მწვავე] 1[ქრონიკული])

	მწვავე ტოქ. 4; H302 კანის სენს. 1; H317 რეპრ. 2; H361fd STOT RE 2 ; H373 წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის ქრონიკული 1; H410	69,74 %
--	--	---------

#### ციმოქსალინი (CAS-No.57966-95-7) (EC-No.261-043-0)

(M-კოფიციენტი : 1[მწვავე] 1[ქრონიკული])

	წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის ქრონიკული 1; H410	4,2 %
--	---	-------

#### პრუსიული ლურჯი (CAS-No.14038-43-8) (EC-No.237-875-5)

	მწვავე ტოქს. 4; H302	>= 1 - <= 5 %
--	----------------------	---------------

ზემოთ აღნიშნული პროდუქტები შეესაბამება REACH რეგისტრაციის მოთხოვნებს. რეგისტრაციის ნომერი(ები) შეიძლება არ იყოს მოცემული, თუ ნივთიერებები არ ექვემდებარება აღრიცხვას, ჯერ არ არის რეგისტრირებული REACH-ში, ან რეგისტრირებულია სხვა მარეგულირებელი პროცესების შესაბამისად (ბიოციდების გამოყენება, მცენარეთა დაცვის საშუალებები) და სხვა.

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

### პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

#### 4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- ზოგადი რჩევა : უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.
- ჩასუნთქვისას : დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. ჟანგბადი ან ხელოვნური სუნთქვა გამოიყენეთ საჭიროების შემთხვევაში. კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

- კანზე მოხვედრისას : დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე.
- თვალში მოხვედრისას : დაიჭირეთ ქუთუთოები დაშორებით და თვალი გამოირეცხეთ დიდი რაოდენობის წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. მიმართეთ ექიმს.
- გადაყლაპვისას : მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება. არ გამოიწვიოთ ღებინება ექიმის მითითების გარეშე. თუ დაზარალებულს გრძობა არ აქვს დაკარგული: გამოივლეთ პირის ღრუში წყლი.

### 4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

- სიმპტომები : ადამიანის ინტოქსიკაციის შემთხვევები და ექსპერიმენტის პირობებში ინტოქსიკაციის სიმპტომები ცნობილი არ არის.

### 4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

- მკურნალობა : სიმპტომატური მკურნალობა.

## პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

### 5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

- ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ჭავლი, ქაფი, მშრალი ფხვნილი, ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>)
- ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები : დიდი მოცულობის წყლის ჭავლი, (დაბინძურების რისკი)

### 5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

- განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : ხანძრის პირობებში წარმოქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები. ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>), აზოტის ოქსიდები (NO<sub>x</sub>).

### 5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

- სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის : ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი და გამოიყენეთ სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
- დამატებითი ინფორმაცია : არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ზედაპირული წყლების ან გრუნტის წყლების დაბინძურება. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. არ ჩაღვართ კანალიზაციაში.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სვ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებელოება (უტილიზაცია) უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

: (მცირე ხანძრების დროს) თუ ტერიტორია ძლიერ მოიცვა ხანძარმა და პირობები იძლევა საშუალებას, ხანძარს მიეცით თვითჩაქრობის საშუალება, ვინაიდან წყალმა შეიძლება გაზარდოს დაბინძურების ზონა. გააგრძელეთ ტარა/ავზები წყლის ჭავლით.

### პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

#### 6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

პირადი უსაფრთხოების ზომები : გააკონტროლეთ ტერიტორიაზე დაშვება. ადამიანები გაარიდეთ დაღვრის / დაფრქვევის ადგილსა და ქარპირა მხარეს. თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა. არ შეისუნთქოთ მტვერი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

#### 6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : თავიდან აიცილეთ შემდგომი დაღვრა ან გაჟონვა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა. გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი კონტეინერი. არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებსა და კანალიზაციის სისტემაში. არ დაუშვათ პრეპარატი მიწისქვეშა წყლის სისტემის დაბინძურება. თუ მასშტაბური დაღვრის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თუ პრეპარატმა დააბინძურა მდინარეები და ტბები ან წყალსადინარები აცნობებთ შესაბამის ორგანოებს.

#### 6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

დასუფთავების მეთოდები : დასუფთავების მეთოდები – მცირე რაოდენობით დაღვრა/დაფრქვევა: მოწმინდეთ ან შეაგროვეთ მტვერსასრუტით და მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში უტილიზაციისათვის.  
დასუფთავების მეთოდები – მასშტაბური დაღვრა/დაფრქვევა. შეაჩერეთ შემდგომი დაფრქვევა ან დაღვრა, პროდუქტის შეწოვა მოახდინეთ ინერტული მშთანთქმელი მასალით (მაგალითად, ქვიშა, მიწა, დიატომური მიწა, ვერმიკულატი), გადაიტანეთ კონტეინერებში ადგილობრივი/ეროვნული რეგულაციების შესაბამისად უტილიზაციისათვის (იხილეთ პარაგრაფი 13). მოსაშორებლად გამოიყენეთ აპრობირებული სამრეწველი მტვერსასრუტი.

სხვა ინფორმაცია : არასოდეს დააბრუნოთ დაღვრილი პრეპარატი ქარხნულ ტარაში ხელმეორედ გამოყენების მიზნით. უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სვ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

### 6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის ზომების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციები იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

## პარაგრაფი 7. მოხმარება და შენახვის პირობები

### 7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა აპარატურა. მოერიდეთ პრეპარატის კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. არ შეისუნთქოთ მტვერი ან შხეფები. იმ ადგილებში სადაც წარმოიქმნება მტვერი უზრუნველყავით სათანადო განიავება. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში.

აალებისა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები : დამუშავების დროს მტვერმა ჰაერთან შეიძლება წარმოქმნას ფეთქებადი ნარევი. შეინახეთ სითბოს და აალების წყაროებისაგან შორს.

### 7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები : შეინახეთ ქარხნულ ტარაში. შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული მშრალ, გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ფურაჟისგან შორს.

რჩევები შერეულ დასაწყობებაზე : განსაკუთრებული მასალები არ არის. შენახვის დროს არასდროს არ დაუშვათ პროდუქტის წყალთან კონტაქტი.

სხვა მონაცემები : სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას.

### 7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

მცენარეთა დაცვის პროდუქტები ექვემდებარება (EC) No 1107/2009 რეგულაციას.

## პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

### 8.1. კონტროლის პარამეტრები

თუ ეს ქვეპარაგრაფი ცარიელია, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება.

### 8.2. ექსპოზიციის კონტროლი

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით დახურულ სივრცეებში. გამოიყენეთ შესაბამისი გამწოვი ვენტილაცია და მტვრის შემკრები დანადგარები.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სვ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

- თვალეების დაცვა : უსაფრთხოების სათვალეები გვერდითი ფარებით, რომელიც შეესაბამება EN166-ს.
- ხელეების დაცვა : მასალა: ნიტრილური რეზინი  
ხელთათმნის სისქე: 0,4 - 0,7 მმ  
ხელთათმნის სიგრძე: 35 სმ სიგრძის და უფრო გრძელი.  
დაცვის ინდექსი: მე-6 კლასი  
გაცვეთის დრო : 8 სთ  
შერჩეული დამცავი ხელთათმნის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის 89/686/EEC დირექტივასა და მისგან მიღებულ სტანდარტს EN374. გთხოვთ დაიცვათ მასალის გამტარობის და დამცავ შრეში შეღწევის (გაცვეთის) დროის შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, როგორცაა გაჭრის, გაკაწვრის საშიშროება და კონტაქტის დრო. სპეციფიკურ სამუშაო ადგილთან შესაბამისობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან. ხელთათმნის გაცვეთის დრო დამოკიდებულია მასალის სხვადასხვა მახასიათებლებზე, სისქეზე, ხელთათმნის ტიპზე და შესაბამისად უნდა შეფასდეს ცალკეულ შემთხვევაში. გაცვეთის ზუსტი დროის დადგენა ხდება მწარმოებელთან და ის უნდა იყოს გათვალისწინებული. ხელთათმანი უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ხელთათმანი უნდა გადაიყაროს ან შეიცვალოს, თუ შეინიშნება დეგრადაციის ან ქიმიური შეღწევადობის ნიშნები. 35 სმ ნაკლები სიგრძის გრძელ სამკლავურიანი ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ქვემოდან. 35 სმ სიგრძის და უფრო გრძელი ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ზემოდან.
- კანისა და სხეულის დაცვა : პროდუქტის წარმოება და დამუშავება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 + 6 (EN ISO 13982-2 / EN 13034).
- შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 + 6 (EN ISO 13982-2 / EN 13034). რეზინის წინსაფარი, ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).
- შეწამვლა-ლია სივრცეში: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).
- ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.
- ტრაქტორი / შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: დაბალი ინტენსივობით გამოყენება, საშუალო ინტენსივობით გამოყენება, მაღალი ინტენსივობით გამოყენება:
- ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: დაბალი ინტენსივობით გამოყენება; საშუალო ინტენსივობით გამოყენება;

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

მაღალი ინტენსივობით გამოყენება:

შეწამვლა გვირაბის ტიპის სათბურში: მოტორიზებული სათბურის შემასხურებელი: დაბალი ინტენსივობით დამუშავება: საშუალო ინტენსივობით გამოყენება: მაღალი ინტენსივობით გამოყენება:

ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: დაბალი ინტენსივობით დამუშავება: საშუალო ინტენსივობით გამოყენება:

წვეთოვანი ირიგაცია: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: შეწამვის დროს ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს დამუშავებულ ფართობზე უსაფრთხო ხელმეორედ შესვლის პერიოდამდე მუშაობას, გამოიყენეთ დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034), ნიტრილური რეზინის ხელთათმანი კლასი 2 (EN 374) და ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN) ISO 20345).

ზოგიერთი ქსოვილის ტარების დროს, ერგონომიკის ოპტიმიზაციისთვის შესაძლოა რეკომენდებული იყოს ზამბის საცვლების გამოყენება. მიიღეთ რჩევა მომწოდებლისგან.

წყლის ორთქლის, ასევე ჰაერის მიმართ მდგრადი ტანსაცმლის მასალები, მაქსიმალურად გაზრდის ტარების კომფორტს. მასალები უნდა იყოს მყარი, რათა გამოყენებისას შეინარჩუნოს მთლიანობა და დაცვის ფუნქცია.

ქსოვილის გამტარიანობა უნდა შემოწმდეს რეკომენდებული დაცვის „ტიპისგან“ დამოუკიდებლად, რათა შეფასდეს შესაბამისი აგენტებისა და ექსპოზიციის ტიპის მიმართ მასალის გამძლეობის დონე.

დამცავი ზომები

: გამოყენებამდე ყველა ქიმიური დამცავი საშუალება უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანები უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაზინძურების შემთხვევაში. დამცავი ადჭურვილობის ტიპი უნდა შეირჩეს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით.

ჰიგიენური მოთხოვნები

: გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. რეგულარულად გაწმინდეთ ადჭურვილობა, სამუშაო ადგილი და ტანსაცმელი. სამუშაო ტანსაცმელი შეინახეთ განცალკევებით. დაზინძურებული ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის მოხმარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე.



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

: გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დაღვევა ან თამბაქოს მოწევა. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან შორს. გაიხადეთ ტანსაცმელი/ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თუ პრეპარატი შეაღწევს შიგნით. გარემოს დაცვის მიზნით გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელმეორედ გამოყენებამდე. ნარეცი წყლის გაუვნებლობა მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.

### სასუნთქი გზების დაცვა

: წარმოება და დამუშავება: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1(EN149).

შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1(EN149).

შესხურებით გამოყენება – ღია სივრცეში: ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდევი ჩაჩით: ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდევი ჩაჩის გარეშე: დაბალი ინტენსივობით გამოყენება: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1 (EN149). საშუალო ინტენსივობით გამოყენება: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP2 (EN149).

ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: დაბალი ინტენსივობით გამოყენება: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით P1 (EN 143). საშუალო ინტენსივობით გამოყენება: ნახევარ-ნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP2 (EN149).

მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

## პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

### 9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

ფორმა	: სველებადი ფხვნილი
ფერი	: მწვანე
სუნი	: უსუნო
სუნის შეგრძნების ზღვარი	: არ არის განსაზღვრული.
pH	: 6,2 10 გ/ლ დროს( 25 °C)
ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი აღნიშნული ნარევისათვის.
დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
აალების ტემპერატურა	: არ გამოიყენება
თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა (SADT)	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
აალებადობა (მყარი, გაზი)	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ანთების ტემპერატურა	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სვ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

თერმული დაშლა	:	ტენიანობის გავლენით დაშლა ძალიან ჩქარდება გაცხელების დროს.
დამჟანგავი თვისებები	:	პროდუქტი არ არის დამჟანგავი.
ფეთქებადი თვისებები	:	არ არის ფეთქებადი
აფეთქების ქვედა ზღვარი/აალების ქვედა ზღვარი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
აფეთქების ზედა ზღვარი/აალების ზედა ზღვარი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ორთქლის წნევა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ფარდობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
მოცულობითი სიმკვრივე	:	725 კგ/მ <sup>3</sup> , შემჭიდროებული
წყალში ხსნადობა	:	დისპერგირებადი
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი / წყალი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
თვითაალების ტემპერატურა	:	327 - 328 °C
ხსნადობა სხვა გამხსნელებში	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
სიბლანტე, დინამიკური	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
სიბლანტე, კინემატიკური	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
აორთქლების სიჩქარე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი

### 9.2. დამატებითი ინფორმაცია

დამატებით ინფორმაციას არ არის.

### პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა	:	არ არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი.
10.2. ქიმიური მდგრადობა	:	პროდუქტი ქიმიურად სტაბილურია შენახვის, გამოყენების და ტემპერატურის რეკომენდებული პირობების დროს.
10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა	:	ჰაერში მტვერმა შეიძლება წარმოქმნას ფეთქებადი ნარევი. არ იშლება, თუ ინახება და გამოიყენება მითითებების შესაბამისად.
10.4. ასარიდებელი გარემოებები:	:	ნესტის ზემოქმედება. წყლის ზემოქმედებით იშლება ნელა.
10.5. შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები	:	არ არის გასათვალისწინებელი მასალები/ნივთიერებები.
10.6. საშიში დაშლის პროდუქტები	:	სპილენძის ოქსიდები ციანწყალბადი ქლორწყალბადი აზოტის ოქსიდები (NOx)

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

### პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

#### 11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა

LD50 / ვირთაგვა : 2 158 მგ/კგ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 401 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

LC50 / 4 სთ ვირთაგვა : 15,79 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

LD50 / ვირთაგვა : > 4000 მგ/კგ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 402 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

კანის გაღიზიანება

კურდღელი  
შედეგი: არ აღიზიანებს კანს  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 404 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

თვალის გაღიზიანება

კურდღელი  
შედეგი: თვალის გამაღიზიანებელი.  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 405 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია

ზღვის გოჭი, მაქსიმიზაციის ტესტი  
შედეგი: იწვევს მასენსიბილიზებელ მოქმედებას  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 406 სახელმძღვანელო პრინციპებით  
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

- ციმოქსალინი  
შემდეგი ეფექტები გამოვლინდა ზემოქმედების იმ დონეებზე, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების პირობებში მოსალოდნელს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

პეროლარული სხვადასხვა სახეობები  
ცვლილება სისხლის ქიმიური შედგენილობაში.  
არ არის ნეიროტოქსიკურობაზე გავლენა.

პერორალური – კვება ძაღლი  
ექსპოზიციის დრო: 90 დღე  
თიმუსის ეფექტები

პრუსიული ლურჯი  
გადაყლაპვა ვირთაგვა  
ექსპოზიციის დრო: 60 დღე  
NOAEL: > 226 მგ/კგ  
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

მუტაგენური აქტივობის შეფასება

- ციმოქსალინი

ცხოველთა ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. მონაცემები მიუთითებს, რომ აღნიშნული ნივთიერება კულტივირებულ ბაქტერიულ უჯრედებში არ იწვევს გენეტიკურ დაზიანებას. ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მუტაგენური ეფექტები.

- პრუსიული ლურჯი

კულტივირებად ბაქტერიულ უჯრედებში არ გამოუწვევია გენეტიკური დაზიანება.

კანცეროგენული აქტივობის შეფასება

- ციმოქსალინი

არ არის კლასიფიცირებული, როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. არ აჩვენა კანცეროგენული მოქმედება ცხოველებზე ექსპერიმენტებში.

რეპროდუქციული ტოქსიკურობის შეფასება

- ციმოქსალინი

შესაძლებელია იყოს ადამიანის რეპროდუქციული ფუნქციის ტოქსიკანტი. სექსუალურ ფუნქციაზე და განაყოფიერებაზე მავნე ზემოქმედების ზოგიერთი მტკიცებულება ეყრდნობა, ცხოველებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს.

ტერატოგენური მოქმედების შეფასება

- ციმოქსალინი

ცხოველებზე ტესტირებამ აჩვენა ემბრიონის-ჩანასახის განვითარებაზე ზემოქმედება დედის ტოქსიკურობის გამომწვევი ზემოქმედების ექვივალენტურ ან უფრო მაღალ დონეზე.

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ არის კლასიფიცირებული როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, ერთჯერადი ექსპოზიცია.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ არის კლასიფიცირებული როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, განმეორებითი ექსპოზიცია.

ასპირაციის საფრთხე

ნარევს არ გააჩნია თვისებები, რომლებიც ასოცირდება ასპირაციის საშიშროების პოტენციალთან.

## პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

### 12.1. ტოქსიკურობა

თევზების მიმართ ტოქსიკურობა

- სპილენძის ქლორჟანგი  
LC50 / 96 სთ / თევზი (დაუზუსტებელი სახეობები): 1,4 მგ/ლ  
მეთოდი: ინფორმაცია არ არსებობს.

წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა

- სპილენძის ქლორჟანგი  
EC50 / 48 სთ/ Daphnia magna (წყლის რწყილი): 0,01 მგ/ლ  
მეთოდი: ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი
- ციმოქსალინი  
EC50 / 48 სთ / Daphnia magna (წყლის რწყილი): 27 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

- ციმოქსალინი  
LC50 / 14 დღე / Eisenia fetida (ჭიაყელები): > 2,208 მგ / კგ

სხვა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

- ციმოქსალინი  
LC50 / 14 დღე / (ფუტკრები): > 85 µგ/ფუტკარზე  
მეთოდი: ტესტი OEPP/EPPO-ის 170 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

ქრონიკული ტოქსიკურობა თევზების მიმართ

- ციმოქსალინი  
NOEC / 21 დღე / Cyprinodon variegates (ჭიჭყინები): 0,0942 მგ/ლ

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

მეთოდი: ტესტი US EPA-ის OPP 72-4 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის უხერხემლოების მიმართ

- ციმოქსალინი  
NOEC / 21 დღე/ Daphnia magna (წყლის რწყილი): 0,067 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

### 12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ბიოდეგრადაციის უნარი

ადვილად არ განიცდის ბიოდეგრადაციას. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებისათვის მიღებულ მონაცემებს.

### 12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია

ბიოაკუმულაცია ნაკლებად სავარაუდოა. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებისათვის მიღებულ მონაცემებს.

### 12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

მობილურობა ნიადაგში

რეალური პირობებში გამოყენებისას პროდუქტს გააჩნია ნიადაგში მიგრაციის დაბალი პოტენციალი.

### 12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) / ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

### 12.6. სხვა არასასურველი ეფექტები

დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაცია

მონაცემები თავად პროდუქტზე არ არის ხელმისაწვდომი. გასათვალისწინებელი სხვა ეკოლოგიური ეფექტები არ არის. დამატებითი გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც ეხება გარემოს დაცვას მითითებულია პროდუქტის ეტიკეტზე.

## პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

### 13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები

პროდუქტი : ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის ინსენერატორში, რომელსაც აქვს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. ნუ დაბინძურებთ ტბორებს, წყალსავალი გზებს ან თხრილებს ქიმიური ნივთიერებებით ან პროდუქტის გამოყენებული ტარით.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

დაბინძურებული ტარა : დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება.

### პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

#### ADR

- |  |   |
|--|---|
| 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:                     | 3077  |
| 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:                   | ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, N.O.S. (სპილენძის ქლორჟანგი, ციმოქსალინი) |
| 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:                 | 9   |
| 14.4. შეფუთვის ჯგუფი:                                      | III   |
| 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები:                               | ეკოლოგიურად საშიში  |
| 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: |   |
| გვირაბში შეზღუდვის კოდი:                                   | (-)   |

#### IATA\_C

- |  |   |
|--|---|
| 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:                     | 3077  |
| 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:                   | ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. სითხე, N.O.S. (სპილენძის ქლორჟანგი, ციმოქსალინი) |
| 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:                 | 9   |
| 14.4. შეფუთვის ჯგუფი:                                      | III   |
| 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები:                               | ეკოლოგიურად საშიში  |
| 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: |   |

”დიუპონ“-ის შიდა რეკომენდაციები და ტრანსპორტირების სახელმძღვანელო: ICAO / IATA გადაზიდვა მხოლოდ სატვირთო თვითმფრინავით.

#### IMDG

- |  |   |
|--|---|
| 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:                     | 3077  |
| 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:                   | ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. სითხე, N.O.S. (სპილენძის ქლორჟანგი, ციმოქსალინი) |
| 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას:                 | 9   |
| 14.4. შეფუთვის ჯგუფი:                                      | III   |
| 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები:                               | საზღვაო დამაბინძურებელი   |
| 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: |   |
| განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.           |   |

- 14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ გამოიყენება.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სვ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

### პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

#### 15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

##### სხვა რეგულაციები:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No.1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ 94/33 / EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაოზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 92/85 / EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ორსულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.

გაითვალისწინეთ 96/82 / EC დირექტივა საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების საშიშროების კონტროლის შესახებ.

გაითვალისწინეთ 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია.

აღნიშნული პროდუქტი სრულად შეესაბამება REACH 1907/2006 / EC რეგულაციის მოთხოვნებს.

#### 15.2 . ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტისათვის/პროდუქტებისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ არის საჭირო.

ნარევი შეფასებულია (EC) 110 1107/2009 რეგულაციის დებულებების ფარგლებში. ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ ეტიკეტი.

### პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

მე-3 პარაგრაფში მითითებული H- ფრაზების სრული ტექსტი

H302	მავნე გადაყლაპვისას.
H317	შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H 361fd	H 361fd: საეჭვო ნაყოფიერების დაზიანება. საეჭვო დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი
H373	გადაყლაპვისას შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი და განმეორებითი ზემოქმედების გზით.
H400	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

დამატებითი ინფორმაცია

პროფესიონალური გამოყენება

### აბრევიატურები და აკრონიმები

ADR	საშიში ტვირთების საგზაო გადაზიდვების ევროპული შეთანხმება
ATE	მწვავე ტოქსიკურობის დადგენა
CAS-No.	ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი
CLP	კლასიფიკაცია, მარკირება და შეფუთვა
EbC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ბიომასის 50% შემცირება
EC50	საშუალო ეფექტური კონცენტრაცია
EN	ევროპული ნორმა
EPA	გარემოს დაცვის სააგენტო
ErC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ზრდის ტემპის 50%-იანი ინჰიბირება
EyC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება მოსავლიანობის 50%-იანი ინჰიბირება
IATA_C	საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (ტვირთი)
IBC	დაუფასოებელი სახიფათო ქიმიკატების საერთაშორისო კოდი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMDG	საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთები
LC50	საშუალო ლეტალური კონცენტრაცია
LD50	საშუალო ლეტალური დოზა
LOEC	უმცირესი კონცენტრაცია, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
LOEL	უმცირესი დონე, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
MARPOL	საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.
n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
NOAEC	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების კონცენტრაცია
NOAEL	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
NOEL	არაეფექტური დოზა (ან ექსპოზიციის დონე)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OPPTS	პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი.
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
STEL	მოკლევადიანი ზემოქმედების ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება (TWA)
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

შემდგომი ინფორმაცია

გამოყენებამდე გაეცანით „დუპონის“ მიერ მოწოდებულ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



## კურზატი® რ სფ ფერადი (CURZATE® R WP COLORED)

საცნობარო ნომერი 130000014265  
ვერსია 5.2 (შეიცვალა: ვერსია 5.1)

განახლების თარიღი: 06.11.2018  
გამოცემის თარიღი: 06.11.2018

ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების ინსტრუქციას.

<sup>(R)</sup> დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი „ე.ი. დუპონ დე ნემური ენდ კომპანი“ (E.I. du Pont de Nemours and Company).

**შენიშვნა:** CLP რეგულაციის VI დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების კლასიფიკაცია ეყრდნობა გამოქვეყნების ან შემდგომი ცვლილებების დროს არსებულ ცოდნას და ინფორმაციას. ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-11 და მე-12 პარაგრაფებში მოცემული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური პროგრესის და ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს იურიდიულად სავალდებულო კლასიფიკაციას.

წინა ვერსიიდან მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნული არის ორმაგი ზოლით.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციის და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს (ებს) და შეიძლება არ იყოს სარწმუნო პრეპარატებისათვის რომელიც გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში, ან, თუ პრეპარატი შეცვლილია ან დამუშავებული და ეს არ არის მითითებული ტექსტში.